პირველი საყოველთაო დემოკრატიული არჩევნები დამოუკიდებელ საქართველოში

FIRST UNIVERSAL DEMOCRATIC ELECTIONS IN INDEPENDENT GEORGIA

2018



ცესკო

წინამდებარე პუბლიკაციის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის მხარდაჭერით ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით. მის შინაარსზე პასუხისმგებელია ავტორი და იგი შესაძლოა არ ასახავდეს საერთაშორისო სისტემათა საერთაშორისო ფონდის (IFES), USAID-ის ან ამერიკის მთავრობის მოსაზრებებს.

This publication is made possible by the support of the American people through the United States Agency for International Development (USAID). The contents are the sole responsibility of the author and do not necessarily reflect the views of IFES, USAID or the United States Government.







სარჩევი

წინასიტყვაობა 6

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების არჩევნების სამზადისი 14

საქართველოს დამფუძნებელი კრების ცენტრალური საპარლამენტო საარჩევნო კომისია 18

საარჩევნო სუბიექტები 27 საარჩევნო კამპანია 64 არჩევნების შედეგები 80

TABLE OF CONTENTS

Preface 8 Preparations for Elections of Constituent Assembly of Democratic Republic of Georgia 16

The Central Parliamentary Election Commission of the Constituent Assembly of Georgia 18

Election Subjects 27 Election Campaign 64 Election Results 80



ეს გამოცემა ეძღვნება საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთ გამორჩეულ მოვლენას, თავისუფალი საქართველოს პირველ დემოკრატიულ არჩევნებს, რომელმაც თვალნათლად აჩვენა მეოცე საუკუნის დასაწყისის ქართველი ააზოგადოების პოლიტიკური კულტურის მაღალი დონე. 1919 წლის საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნები მრავალი ფაქტორის გამო იყო გამორჩეული. პირველ რიგში განსაკუთრებული იყო საყოველთაოობის მაღალი ხარისხით – საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობა ხმის მიცემის უფლებას აძლევდა ყველა მოქალაქეს, სქესისა და წარმომავლობის განურჩევლად. საქართველოს დამფუძნებელ კრებაში არჩეულ იენა 5 ქალი, მაშინ როდესაც იმდროინდელი მსოფლიოს სახელმწიფოთა უმრავლესობაში ქალებს ხმის მიცემის უფლება არ ჰქონდათ, უფრო მეტიც, პრეზიდიუმის წევრად (მდივნად) არჩეულ იქნა – ქრისტინე შარაშიძე. გარდა ქალთა ჩართულობისა, არჩევნებში ხმის მიცემისა და დეპუტატად არჩევის საშუალება მიეცათ საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს. დემოკრატიის, თანასწორობის, ტოლერანტობისა და სხვა ჰუმანისტური ფასეულობების დემონსტრირება იყო არჩევნები ქვეანაში, რომელსაც საუკუნეზე დიდხანს დაკარგული ჰქონდა სახელმწიფოებრიობა და დამოუკიდებლობა ახლა რამდენიმე თვის წინ აღედგინა.

პირველმა დემოკრატიულმა რესპუბლიკამ მცირე ხანს იარსება, თუმცა გასაანალიზებლად ბევრი ისეთი საკითხი დავიტოვა, რასაც დღესაც არ დაუკარგავს აქტუალობა. ჩვენი ქვეყნის ისტორიაში უმნიშვნელოვანეს მოვლენას, დამოუკიდებლობის გამოცხადებას და საქართველოს პირველი დამოუკიდებელი რესპუბლიკის შექმნას, ორი მნიშვნელოვანი მოვლენა უსწრებდა – საქართველოში პირველი უნივერსიტეტის დაარსება და ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა. ცხადია, ეს შემთხვევითი არ იყო, რადგან იმდროინდელ საკმაოდ რთულ პოლიტიკურ ვითარებაში სწორედ ამ ფაქტორებმა შეუწყვეს ხელი ქართველი საზოგადოების სულიერ ორიენტაციას. ივანე ჯავახიშვილისა და მის თანამებრძოლთა მიერ ჩამოყალიბებული უმაღლესი სკოლის კონცეფცია ემნიდა განათლების რეფორმის მწყობრ სისტემას, რომელიც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ევროპული გზით განვითარებას შეესაბამებოდა.

საქართველოს ეროვნული საბჭოს სახელით აკაკი ჩხენკელმა უნივერსიტეტის გახსნისადმი მიძღვნილ ზეიმზე თავის გამოსვლაში ჩამოაყალიბა საქართველოს მომავალი მთავრობის საგანმანათლებლო პოლიტიკა. მან უნივერსიტეტის დამფუძნებლებს მოუწოდა, მთავრობასთან ერთად, შეემუშავებინათ ეროვნული განათლების ერთიანი სისტემა და გამოეყენებინათ ევროპის წამყვან სახელმწიფოთა გამოცდილება. ამ საგანმანათლებლო პოლიტიკით მთავრობა, უნივერსიტეტის დამფუძნებლებთან ერთად, რადიკალურად უპირისპირდებოდა ზოგადად რუსეთის და ბოლშევიზმის ინტერესებს, რომელიც მოგვიანებით აქტიურად ცდილობდა ფეხის მოკიდებას უნივერსიტეტში.

მჯიდროდ გადაეჯაჭვა ერთმანეთს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის განვითარების გზები. დემოკრატიული საქართველოს პირმშო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ამ სახელმწიფოს აღმავლობისა და მარცხის ხანმოკლე, მაგრამ საოცრად დრამატული ისტორიის ერთგვარ მემატიანედაც იქცა. ამიტომაც ლოგიკური იყო, რომ სწორედ ამ გამორჩეულ პერიოდთან (1918-1921 წწ.) დაკავშირებული ნაბეჭდი პროდუქციის, საბიბლიოთეკო თუ საარქივო დოკუმენტების შეგროვების, დაცვისა და შესწავლის მიზნით შეიქმნა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემსწავლელი ცენტრი.

საფრანგეთში მოღვაწე ქართველი ემიგრანტის მამია ბერიშვილის ვაჟმა, ტიერი ბერიშვილმა, რომელიც ფრანგულ-ქართული კულტურის ასოციაციას ხელმძღვანელობს, 2015 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს მამის პირადი არქივი და ბიბლიოთეკა გადასცა. აღნიშნული ფაქტი გახდა წინაპირობა, რომ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში გახსნილიყო ახალი განყოფილება – „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921 წწ.) შემსწავლელი ცენტრი-ბიბლიოთეკა“, რომლის მიზანია საქართველოს ისტორიის ამ მონაკვეთის კვლევა-ანალიზი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შესახებ ახალგაზრდების ინფორმირება. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პერიოდში შექმნილი საბიბლიოთეკო-საარქივო დოკუმენტების მოძიება, შენახვა, შესწავლა-დამუშავება, გამოფენების, ჰუბლიკაციებისა და გამოცემების მომზადება.

ცენტრის თანამშრომლებმა არაერთი ღონისძიება გამართეს. მათ შორის აღსანიშნავია, 1919 წლის 14-16 თებერვალს საქართველოს ისტორიაში გამართული პირველი მრავალპარტიული, დემოკრატიული არჩევნების შესახებ გამოფენა. არჩევნების, რომელსაც უნდა განესაზღვრა საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური საფუძვლები და შეემუშავებინა კონსტიტუცია. სწორედ ამ გამოფენისთვის მომზადებული მასალა გახდა წინამდებარე გამოცემის საფუძველი.

ზურაბ გაიპარაშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი

This edition is dedicated to one of the most significant events in Georgian history, namely, the first free democratic elections of Georgia that unequivocally demonstrated the high level of political culture in Georgian society at the beginning of 20th century. The 1919 elections of the Constituent Assembly of Georgia were significant in many regards, though especially notable is the application of universal enfranchisement – Georgian election legislation granted franchise to each citizen, regardless of gender and origins. In these elections, five women were elected to the Constituent Assembly, at a time when in the majority of countries women were not granted the right to vote; furthermore Kristine Sharashidze was elected as a member of presidium (Secretary). In addition to women's participation in the elections in Georgia, voting as well as the right to contest the elections was extended to representatives of ethnic minorities residing in the country. These elections were a demonstration of democracy, equality, tolerance and humanistic values in a country that had lost its statehood for more than a century and restored independence just several months prior.

The first democratic republic existed for a short of time, yet its legacy left a number of issues that are still relevant today. Two important events, the founding the first university in Georgia and the restoration of autocephaly of the Georgian church preceded the most significant moment in Georgian history, that is the declaration of independence and establishment of the first independent republic. Indeed, this series of events was not accidental as precisely these factors contributed to the cultivation of favorable climate within Georgian society during a difficult political situation. The concept for an institute of higher learning developed by Ivane Javakhishvili and his fellow fighters laid the ground work for consolidated education reform in Georgia, which in turn contributed to the development of Georgian society.

On behalf of the National Council of Georgia, Akaki Chkhenkeli presented the education policy of the future government at the celebration event marking the opening of the University. He called upon the founders of the university to develop a national unified education system in partnership with the government and to follow the model and experience of the leading countries in Europe. This partnership between government and university founders was in radical opposition to the Russian and Bolshevik's interests, who later actively sought to establish a foothold in the university.

The path to democratic development of both the Republic of Georgia and Tbilisi State University was closely intertwined. The first academic institution of democratic Georgia, Tbilisi State University, became a recorder of the short-term successes and setbacks of the country, yet, bore witness to remarkably dramatic history. Accordingly, it is logical that in order to collect, preserve and study published, library and archival documents associated with this exceptional period (1918-1921), the library at Ivane Javakhishvili Tbilisi State University established the Center for the Study of Democratic Republic.

In 2015 Tieri Berishvili, the son of Georgian immigrant Mamia Berishvili, living in France, head of French – Georgian Cultural Association, presented his father's personal archive and library to the State University of Georgia. This gift enabled the university to open a new department at university's library "Center – Library for the Study of Democratic Republic of Georgia (1918-1921)" which aims to research and analyze this particular period of Georgian history, educating young people about the Democratic Republic of Georgia, as well as contributing to the search and preservation of important documents, offering scholars the opportunity for substantive research of library and archive documents produced during Democratic Republic of Georgia. The Center also organizes exhibitions, and publishes academic literature.

Members of the Center have held numerous events. Notably, the exhibition focused on the first multiparty, democratic elections held on 14-16 February, 1919 is worth mentioning. These elections underpinned the development of independent Georgia's social-economic and political system, and constitution. The materials prepared for this exhibition served as the basis for this publication.

ZURAB GAIPARASHVILI
Head of Ivane Javakhishvili State University Library

ძვირფასო მკითხველო,

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია (ცესკო) არჩევნების ისტორიის შესახებ ინფორმაციის გავრცელებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. ეს ჩვენს საზოგადოებას შესაძლებლობას აძლევს მთლიანობაში აღიქვას საქართველოს საპარლამენტო დემოკრატიის ისტორია თავისი მიღწევებით, წარმატებებითა და ხარვეზებით. განსაკუთრებით საინტერესოა 1919 წლის დამფუძნებელი კრების არჩევნები – პირველი არჩევნები დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში, გამორჩეული თავისი დემოკრატიულობითა და თავისუფლებით. ამ არჩევნებში მონაწილეობის უფლება ჰქონდათ ქალებს, რაც იმ დროს მსოფლიოში იშვიათი მოვლენა იყო. საარჩევნო სუბიექტები წარმოდგენილი იყვნენ როგორც მსოფლმხედველობრივი, ისე ეთნიკური ნიშნის მიხედვით. სამაგალითოდ იყო ორგანიზებული საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობა.

ეს ყველაფერი ჩვენი ქვეყნის ისტორიის ნაწილია და საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია მიზანმიმართულად ახორციელებს სხვადასხვა აქტივობას საზოგადოებაში არჩევნების ისტორიის პოპულარიზაციის მიზნით.

2013 წლის 27 სექტემბერს, ცესკოს მედიაცენტრში გაიმართა ფოტო-ვიდეო გამოფენა სახელწოდებით – „არჩევნები – ერის შემოქმედი". გამოფენაზე წარმოდგენილი იყო საქართველოს საარჩევნო ისტორიის უნიკალური მასალა, რომელიც 1918-2008 წლების პერიოდს მოიცავდა. გამოფენის გახსნას დაესწრნენ სახელმწიფო უწყებების, საერთაშორისო ორგანიზაციების, სამოქალაქო საზოგადოების და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები, საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების ხელმძღვანელები და ცენტრალური საარჩევნო კომისიის ყოფილი თავმჯდომარეები, აგრეთვე, საქართველოს 2013 წლის 27 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილე პრეზიდენტობის კანდიდატები. ხელი მოეწერა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, ეროვნულ ბიბლიოთეკასა და ეროვნულ არქივს შორის.

ანალოგიური გამოფენა 2013 წლის 29 ნოემბერს, ქუთაისში, საქართველოს პარლამენტის შენობაში გაიმართა, რომელსაც პარლამენტის წევრები, არასამთავრობო სექტორისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები დაესწრნენ.

საჯარო აქციების პარალელურად, ცესკოს მედიაცენტრში მუდმივად გამოფენილია არჩევნების ისტორიასთან დაკავშირებული ექსპონატები, რომლითაც ხშირად ინტერესდებიან საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის, განსაკუთრებით ახალგაზრდების წარმომადგენლები. სამომავლოდ დაგეგმილია საგამოფენო ექსპონატების ელექტრონულ ფორმატში გადატანა და ვებ-გვერდზე განთავსება, რაც ექსპონატებს დაინტერესებული პირებისთვის კიდევ უფრო ხელმისაწვდომს გახდის.

ეს გამოცემა – „პირველი საყოველთაო დემოკრატიული არჩევნები დამოუკიდებელ საქართველოში" – არჩევნების ისტორიის პოპულარიზაციას ემსახურება და საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია მოხარულია, რომ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკასთან თანამშრომლობით და საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) მხარდაჭერით ამის შესაძლებლობა მიეცა.

თამარ შვანია
საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე

Dear Reader,

The Central Election Commission (CEC) of Georgia believes it is highly important to raise awareness in Georgia on the history of democratic elections. Doing so, provides our society with an opportunity to reflect on the history of parliamentary democracy of the country holistically, noting achievements, successes, and issues. Particularly interesting is the Constituent Assembly Elections 1919, the first elections in the history of independent Georgia, remarkable for its high-level of democracy and freedom. Especially significant is the fact that women stood as candidates, and participated as voters in this election, which was rare at that time across the world. Election subjects were represented by their ideology/worldview and also by their ethnic belonging. The Election Administration's performance was exceptional in terms of organizing the election activities.

The events surrounding this election are a part of our democratic legacy and the CEC of Georgia deliberately implements various activities in order to promote the history of elections to the Georgian public.

On 27 September, 2013, a photo-video exhibition titled "Elections, Making of a Nation" was held at the CEC News Room. At the exhibition many unique Georgian electoral artifacts from the period of 1918 to 2008 were presented. Representatives of state entities, international organizations, civil society, political parties and the heads of higher education institutions of Georgia, as well as the former chairpersons of the CEC, and participant candidates in the presidential elections of 27 September, 2013, attended the opening of this exhibition. A memorandum on cooperation was signed between the CEC, the National Library, and the National Archives.

On 29 November, 2013, a similar exhibition was held in Kutaisi, at the Parliament of Georgia, where Members of Parliament and representatives of non-governmental sector and international organizations were present.

Parallel to public campaigns, the permanent exhibition related to Georgia's electoral history is open at the News Room of the CEC, which is frequently an interesting topic for various groups of Georgians, particularly young people, to explore. Materials of the permanent collection are planned to be transformed into an electronic format in the future and made available on the CEC's website, which will make the exhibits more accessible to all.

This publication "The First Universal Democratic Elections in Independent Georgia" serves to promote Georgia's electoral legacy. The CEC of Georgia is delighted to cooperate with Ivane Javakhishvili State University Library and the International Foundation for Electoral Systems (IFES) in support of this goal.

TAMAR ZHVANIA
Chairperson of Central Election Commission of Georgia

ძვირფასო მკითხველო,

საარჩევნო სისტემათა საერთაშორისო ფონდის (IFES) სახელით, რომელიც ხელს უწყობს სამხრეთ კავკასიაში დემოკრატიული არჩევნების პროცესის განვითარებას 1990 წლიდან, ნება მიბოძეთ, მივულოცო საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას და ნაშრომის ავტორებს, ირაკლი ირემაძესა და სალომე ჭანტურიძეს საქართველოს არჩევნების ისტორიის ამ ღირსშესანიშნავი და დროული მატიანეს შემუშავება, რომელიც 1919 წელს განვითარებულ მოვლენებს ეძღვნება. ეს ნაშრომი საქართველოს ყველა ასაკის მოქალაქეს, ისევე, როგორც უცხოელ მკითხველს, შესაძლებლობას მისცემს, ახლებურად შეაფასოს ის ქარტეხილები, რომლის ნინაშეც იდგა ქვეყანა დემოკრატიის შენების პროცესში.

არ არსებობს დემოკრატიის ერთი, ჭეშმარიტი, იდეალური მოდელი. ყველა ქვეყანა ირჩევს თავის უნიკალურ გზას და ხელმძღვანელობს საკუთარი გამოცდილებით და ისტორიით დემოკრატიული არჩევნებისა და პოლიტიკური პროცესების საყოველთაო პრინციპებისა და ნორმების დანერგვისას. ამ კუთხით არც საქართველოა გამონაკლისი. მეტიც, მან გამოიჩინა იშვიათი გამბედაობა და სურვილი, ესწავლა თავის წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით და, ამავე დროს, მიეღო მომავალი, რომელშიც მის ყველა მოქალაქეს აქვს უფლება და შესაძლებლობა, აირჩიოს საკუთარი ქვეყნის ბედი.

საქართველოში ჩატარებული ყოველი არჩევნები ბიძგს აძლევს საზოგადოებრივი დისკუსიების გამართვას საარჩევნო სისტემის გარშემო. ქართველები არასოდეს უფრთხოდნენ დიალოგსა თუ დებატებში მონაწილეობას და ამჟამად ეს პროცესი უკვე მოიცავს აზრთა და პოზიციათა მზარდ მრავალფეროვნებას, დაწყებული პირველი ამომრჩევლებიდან და გაგრძელებული ქალებით, ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული თემების მცხოვრებლებით თუ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებით. ქართველთა უნიკალურობა გამოიხატება თეზისით „საქართველო ყველასათვის“, რომელიც, თავის მხრივ, დაფუძნებულია ნდობაზე – რწმენაზე იმისა, რომ თითოეული ხმა იქნება შესმენილი და თითოეული ხმა იქნება თანაბრად დათვლილი – სწორედ ეს წარმოადგენს ჭეშმარიტი დემოკრატიის საფუძველს.

მჯერა, რომ ამ წიგნს თქვენც ისეთივე სიამოვნებით წაიკითხავთ, როგორც მე და, ამავე დროს, საფუძვლიანად გაიაზრებთ იმ ცოდნას, რომელიც მასშია გადმოცემული, ვინაიდან იგი შეიცავს სასიცოცხლო მნიშვნელობის ინფორმაციას, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოში ინკლუზიური, დემოკრატიული არჩევნების მომზადებასა და ჩატარებას მომავალში, რაც საქართველოს მოწინავე დემოკრატიული ქვეყნების რიგებში აყენებს.

საუკეთესო სურვილებით,

უილიამ რ. სუინი უმცროსი
პრეზიდენტი და მთავარი აღმასრულებელი ხელმძღვანელი
საარჩევნო სისტემათა საერთაშორისო ფონდი (IFES)

Dear Reader,

On behalf of the International Foundation for Electoral Systems (IFES), which first began working in the South Caucasus in support of democratic election processes in the 1990s, let me congratulate the Central Election Commission and the authors, Irakli Iremadze and Salome Chanturidze, on this comprehensive and timely account of the historic first national democratic elections conducted in Georgia in 1919. In developing this volume, Georgians of all ages, as well as international readers will gain a newfound appreciation for the permanent challenges to building and sustaining a democratic system.

There is no one ideal model of democracy. Each country draws upon its own culture, experiences and history in the quest to uphold universal obligations and principles for democratic elections. Georgia is no exception in this regard, as Georgians have repeatedly demonstrated an uncommon courage and willingness to learn from its past and embrace a future in which all of its citizens have equal ability to exercise their right to choose the destiny of their country.

The impact of each Georgian election experience continues today to shape public debates about the fundamental structure of Georgia's electoral system. Georgians have never been afraid to engage in dialogue and debate, and now this process includes a growing diversity of voices, ranging from first-time voters, to women, residents of ethnic minority communities and persons with disabilities. This identity of a "Georgia for everyone" is built on trust – trust that one's voice will be heard and that one's vote counted equally – that forms the bedrock of true democracy.

I know you will enjoy reading and learning from this book as much as I have. It provides vital background and understanding that will hopefully continue to guide the development and conduct of inclusive, democratic elections in Georgia in the future and continue to showcase Georgia as a democratic leader in the world.

With best regards,

WILLIAM R. SWEENEY, JR.
President and CEO
International Foundation for Electoral Systems

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების არჩევნების სამზადისი

საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ, რომელმაც 1028 დღის განმავლობაში იარსება, ქვეყნის ისტორიაში გამორჩეული ადგილი დაიმკვიდრა. იმ დროს არსებული საგარეო პოლიტიკური კრიზისისა და სამინაო ეკონომიკური არასტაბილურობის მიუხედავად, ხელისუფლებამ ბევრი მნიშვნელოვანი პოლიტიკური ნაბიჯის გადადგმა შეძლო. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკური სისტემისა და დემოკრატიზაციის პროცესზე საუბრისას, პირველ რიგში, აღსანიშნავია საყოველთაო დემოკრატიული არჩევნები. 1919 წლის 14, 15, 16 თებერვალს გამართული არჩევნები, გარკვეული ხარვეზების მიუხედავად, იმდროინდელ მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე დემოკრატიულად შეიძლება ჩაითვალოს.

1917 წლის ნოემბერში მოწვეული საქართველოს ეროვნული ყრილობის მიერ არაპირდაპირი წესით არჩეულმა ეროვნულმა საბჭომ 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობა გამოაცხადა. 1917 წლის ბოლოს გაჩნდა იდეა დამფუძნებელი კრების მოწვევის შესახებ. თუმცა, პოლიტიკური მოუმზადებლობისა და კრიზისის გამო, გადადებული იქნა სამომავლოდ. დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, 1918 წლის ზაფხულში ეროვნულმა საბჭომ დამფუძნებელი კრების არჩევის წესსა და საარჩევნო დებულებაზე დაიწყო მუშაობა. კანონმდებლობის მომზადება რამდენიმე თვეს გაგრძელდა, მასში ეროვნულ საბჭოში წარმოდგენილი ყველა პოლიტიკური სუბიექტი იყო ჩართული.

1918 წლის 22 ნოემბერს საქართველოს ეროვნულმა საბჭომ (1918 წლის 8 ოქტომბრიდან პარლამენტად იწოდებოდა) დაამტკიცა კანონი – **„დებულება დამფუძნებელი კრების არჩევნებისა“**, რომელიც 10 თავისა და 119 მუხლისგან შედგებოდა. შემუშავებული კანონი, თავისი შინაარსობრივი და პოლიტიკური მნიშვნელობიდან გამომდინარე, უაღრესად პროგრესული იყო. მაგალითად გამოდგება **პირველი თავი – საერთო დებულება,** რომელშიც პირველ მუხლში ვკითხულობთ: **„დამფუძნებელ კრებას შეადგენენ წევრები, არჩეული მცხოვრებთა მიერ საყოველთაო – განურჩევლათ სქესისა, – თანასწორის, პირდაპირის და ფარულის ხმის მიცემით პროპორციული წარმომადგენლობის წესისამებრ;“** II თავის მე-3 მუხლი კი საარჩევნო უფლებას

შეეხება – „დამფუძნებელი კრების არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს რესპუბლიკის ორივე სქესის მოქალაქეს, თუ არჩევნების დღისთვის ოცი წელი შესრულებიათ. რეგულიარულ ჯარში ჩარიცხულს აქვს მხოლოდ პასიური საარჩევნო უფლება"[1]. – (პასიური საარჩევნო უფლების შეზღუდვა შეეხებოდა მხოლოდ რეგულარულ ჯარში მოსამსახურეებს, გვარდიის პირად შემადგენლობაზე ეს შეზღუდვა არ ვრცელდებოდა. გვარდიის მეთაურები და წევრები სოციალ-დემოკრატიული პარტიის საკანდიდატო სიებშიც იყვნენ წარმოდგენილი). – საარჩევნო კანონმდებლობაში 1919 წლის 10 იანვარს ჩასწორებები განხორციელდა, რომელიც ძირითადად ამომრჩეველთა საარჩევნო სიებში დამატებასა და ამორიცხვას შეეხებოდა.

საქართველოს პარლამენტი და მის მიერ შედგენილი დამფუძნებელი კრების ცენტრალური საპარლამენტო საარჩევნო კომისია არჩევნების გამართვას 1919 წლის გვიან გაზაფხულზე ვარაუდობდა. შინაგან საქმეთა მინისტრი ნოე რამიშვილი 1918 წლის 29 დეკემბერს კომისიის წინამე ინიციატივით წარსდგა, რომელიც არჩევნების 1919 წლის თებერვალში გამართვას უკავშირდებოდა. თარიღი საგარეო ფაქტორების გათვალისწინებით შეირჩა. 1919 წლის იანვარში პარიზში იხსნებოდა სამშვიდობო კონფერენცია, რომლის მუშაობაში საქართველოს დელეგაციას აუცილებელად უნდა მიეღო მონაწილეობა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი კი საყოველთაო არჩევნების შედეგად არჩეული ხელისუფლების წარმომადგენელთა გამგზავრება იყო.[2]

საქართველოს პარლამენტმა და მის მიერ შექმნილმა დამფუძნებელი კრების ცენტრალურმა საპარლამენტო საარჩევნო კომისიამ შინაგან საქმეთა მინისტრის წინადადება გაიზიარა. 1919 წლის 10 იანვრის პარლამენტის სხდომაზე მიიღეს კანონი – **„დამფუძნებელი კრების არჩევნების დანიშვნისა"**, რომელშიც წერია – **„საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნების პირველ დღედ დანიშნულ იქნეს მდგომარე წლის თებერვლის 14 (ახალი სტილით).**[3] დამფუძნებელი კრების ცენტრალური საარჩევნო კომისია შეივსო წევრებით და შეუდგა აქტიურ მუშაობას.

---

1. *საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული 1918-21. სპეც. რედ. ვ. შარაშენიძე. თბ. 1990. გვ. 84-109.*

2. *საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 1834, აღწერა 1, საქმე N19.*

3. *საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული 1918-21. სპეც. რედ. ვ. შარაშენიძე. თბ. 1990. გვ. 204.*



PREPARATIONS FOR THE ELECTIONS OF CONSTITUENT ASSEMBLY OF DEMOCRATIC REPUBLIC OF GEORGIA

The Democratic Republic of Georgia existed for 1028 days and occupies a distinguished place in the history of the country. Despite the ongoing political crisis in foreign affairs and domestic economic instability, the government during that time made many significant political advancements. The significance of universal democratic elections should be emphasized when examining the political system and democratization processes of the Democratic Republic of Georgia. The elections held on 14, 15, and 16 February, 1919 can be regarded as one of the most democratic elections held at the time throughout the world despite certain issues.

In November 1917, the National Council of Georgia (indirectly elected by the invited National Congress) declared Georgia's independence on 26 May 1918. The idea to convene the Constituent Assembly came at the end of 1917. However, due to lack of preparation and the political crisis the idea was postponed. After declaring independence in 1918 the National Council began working on the rules governing the election of the Constituent Assembly and electoral regulation. After declaring independence, in the summer of 1918, the National Council commenced work on the election rules of the Constituent Assembly and electoral regulation. The legislative drafting process lasted for a few months, and all political subjects of the National Council were involved.

On 22 November, 1918 the National Council of Georgia (referred to as "Parliament" from 8 October, 1918) approved a law on **"The Regulation of the Constituent Assembly Elections"** that consisted of ten chapters and 119 articles. This legislation was deemed highly progressive in terms of its content and political significance at the time. For example, in the first article of the first chapter the general provision states: **"the Constituent Assembly is composed of members, elected by the general population – despite gender – by equal, direct and secret**

ballot with proportional representation, according to the rule;" Article 3 of the second chapter refers to voting rights, "citizens of both genders of the republic are entitled to vote in the Constituent Assembly Elections if they attain the age of 20 on election day. Persons regularly enrolled in the army only have passive suffrage rights".[1] Passive voting rights' restriction referred only to regular military personnel, whereas this restriction did not apply to National Guard personnel. Guard commanders and members of the Social Democratic Party were included in the candidates' lists. On 10 January, 1919 amendments to the electoral law were made; these amendments primarily referred to adding and removing voters from the voter lists.

The Parliament of Georgia and its newly established body, the Central Parliamentary Election Commission of Constituent Assembly, planned to hold elections in late spring of 1919. Noe Ramishvili, Minister of Internal Affairs, presented a proposal to the Commission on 29 December, 1918 to hold the elections in February 1919. The date for elections was selected based on external factors, for example in January 1919 the Paris Peace Conference was due to open where the Georgian delegation's participation was deemed necessary; particularly important was officials' attendance at the event, elected through universal elections.[2]


The Parliament of Georgia and its Central Parliamentary Election Commission of Constituent Assembly accepted the proposal of the Minister of Internal Affairs. On 10 January, 1919, the Parliament adopted the law "Appointing the Constituent Assembly Elections", which states that "the first day of the Constituent Assembly elections is scheduled on 14 February of the current year" (according to new style – Julian calendar).[3] The appointed members of the Central Election Commission of the Constituent Assembly began work in earnest.

---

1. Legal Acts of the Democratic Republic of Georgia 1918-21. Spec. Ed. V. Sharashenidze. Tb. 1990. pp. 84-109.

2. The Central Historical Archive of Georgia, the Foundation 1834, Description 1, Case N19.

3. Legal Acts of the Democratic Republic of Georgia 1918-21. Spec. Ed. V. Sharashenidze. Tb. 1990. p. 204.



დამფუძნებელ კრების ცენტრალური საპარლამენტო
საარჩევნო კომისიის წევრთა სია:

I/ ალ. ღომთათიძე
2/ სიდ. ჯიბლაძე
3/ მელ.
4
ო ამაშვილი
6 ვ. ულუნგი
. ვირცხლაიშვილი
. თუქშაშვილი

პარტიების წარმომად-
გენელი
ს.-ფ.მ. ს არეულიძე

I/ გ. გვაბაგა
2/ი. დეროქიანიძე

I/ გრ. ვეშაპელი

I/ი. გოგიჩაია
2/ ი. ოქუჯავა

I/ალ. ახმეტელი

I/ დავითაძანიშვილი

I/ დ. ბერიძანიშვილი

საქართველოს დამფუძნებელი კრების ცენტრალური საპარლამენტო საარჩევნო კომისია

საქართველოს დამფუძნებელი კრების ცენტრალური საპარლამენტო საარჩევნო კომისიის წევრთა რაოდენობა და შემადგენლობა მუდმივად იცვლებოდა, თუმცა უცვლელი იყო მთავარი პრინციპი, კომისიაში თითოეული საარჩევნო სუბიექტისთვის მინიმუმ 1 წევრის ადგილის გამოყოფისა. პარლამენტში წარმოდგენილ ფრაქციებს პარლამენტის წევრთა პროპორციულად კომისიაში განსხვავებული რაოდენობის მანდატი ჰქონდათ. კომისიის თითქმის ყველა წევრი ამავე დროს წარმოდგენილი იყო საარჩევნო სუბიექტების საკანდიდატო სიებში, ეს ფაქტორი არ გახლდათ შემზღუდველი ნორმა.

CENTRAL PARLIAMENTARY ELECTION COMMISSION OF THE CONSTITUENT ASSEMBLY

The number and composition of members of Central Parliamentary Election Commission of Constituent Assembly changed regularly; however, the primary function remained intact, namely, assigning a minimum of one member to every election subject in the Commission. Each faction represented in the Parliament had a different number of mandates in the commission, which was proportional to the number of their MPs. At the same time, all members of the commission were included on the candidate lists of election subjects, and this was not a limiting factor.








ალექსანდრე ლომთათიძე – საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე. სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი. დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის პირველი ამხანაგი (მოადგილე). ფოტო დაცულია კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში

Aleksandre Lomtatidze – Chairperson of the Election Commission. Member of the Social-Democratic Party. First Comrade (deputy) of Chairperson of the Constituent Assembly. The photo is preserved at Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts.

საქართველოს დამფუძნებელი კრების ცენტრალური საპარლამენტო საარჩევნო კომისია თავის წევრებზე გასცემდა მოწმობებს, რომელსაც ხელს აწერდა თავმჯდომარე და მდივანი, მოწმობა იბეჭდებოდა კომისიის ბლანკიან ფურცელზე და დამოწმებული იყო საარჩევნო კომისიის ბეჭდით. მოწმობა გაიცემოდა კომისიის ყველა წევრზე სხვადასხვა საქმიანობის განსახორციელებლად.

The Central Parliamentary Election Commission of the Constituent Assembly issued certificates to its members that were later signed by the Chairperson and the Secretary, and were printed on the commission's official letterhead and certified by the election commission seal. The certificate was issued to all members of the commission in order to implement various activities.



საქართველოს პარლამენტი.

დამფუძნებელ კრების

ცენტრალური საარჩევნო კომისია

"10" ნოემბერი 191[illegible] წ.

№ 42

ქ. ცხინვალისი

მ ო წ მ ო ბ ა.


ამის წარმომდგენელი გ. ბ. გ ვ ა ზ ა ვ ა არის დამფუძნებელი კრების ცენტრალურ საპარლამენტო საარჩევნო კომისიის წევრი.

თავმჯდომარე

მდივანი ა. [illegible]

ეროვნულ-დემოკრატ გიორგი გვამაგამე გაცემული მოწმობა, საარჩევნო კომისიის ხაზინადარის მოვალეობის შესრულების შესახებ. დოკუმენტი დაცულია საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში, ფონდი 1834, აღწერა 1, საქმე N118.

The certificate issued to a member of National-Democrats Giorgi Gvazava, on performing the duties of the treasurer at the Election Commission. The document is preserved at the Central Historical Archive, the Foundation 1834, Description 1, Case N118.



საქართველოს არმაზიანი.

დამფუძნებელ კრების

რაღშრი საარჩევნო კომისია

4 დეკემბერი 1919 წ.

№ 243

ქ. ცფილისი


მ ო წ მ ო ბ ა

. ძის პატრონი კონსტანტინე.
. ხელმწიფ. . აყაფლი. ე. .
ოის დამფუძნებელი კრების ცენ-
ტრ ული საარჩევნო კომისიის წევრი-.

მდივანი

საქართველოს დამფუძნებელი კრების ცენტრალურმა საპარლამენტო საარჩევნო კომისიამ შეიმუშავა და დაადგინა საქალაქო, სამაზრო და საუბნო კომისიების ოქმების შედგენის წესები, რომელიც დაეგზავნა ყველა დონის კომისიებს გასაცნობად. ოქმის შედგენის წესები გამოქვეყნდა დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ოფიციალურ ორგანოში გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში". წესები და ოქმის ნიმუშები ასევე დაიბეჭდა სხვადასხვა პარტიის გაზეთებში.

The Central Parliamentary Election Commission of the Constituent Assembly prepared and enacted rules to draft protocols for the municipal, district and precinct commissions, which were sent to commissions at all levels. Protocol rules were published in the official body of the government of the Democratic Republic, in the newspaper "Sakartvelos Respublika" (The Republic of Georgia). Rules and protocol samples were also printed in various parties' newspapers for the purposes of voter education.





საქართველოს პარლამენტის დამფუძნებელი კრების ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ საქალაქო და საუბნო კომისიებისთვის დაგზავნილი ოქმების შევსების წესი. დოკუმენტი დაცულია საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში, ფონდი 1834, აღწერა 1. საქმე N127.

The rule to fil protocols de vered at all levels of the commission: municipal and precinct by the Central Parliamentary Election Commission of the Constituent Assembly. The document is preserved at the Central Historical Archive, the Foundation 1834, Description 1, Case N127.

დამფუძნებელი კრების ცენტრალური საპარლამენტო საარჩევნო კომისია, მიუხედავად მცირე ფინანსური რესურსისა, ცდილობდა, საარჩევნო პროცესების კარგად ორგანიზებისათვის, კომისიებში მოეზიდა კვალიფიციური კადრები და მოეხდინა მათი გადამზადება. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ 1918 წლის 27 ნოემბერს მიიღო დადგენილება, რომელიც ქუთაისსა და თბილისში საქალაქო, სამაზრო და საუბნო კომისიის წევრთათვის სწავლების გამართვას შეეხებოდა. ამ მიზნით კომისიამ წევრები ქუთაისში მიავლინა.


The Central Parliamentary Election Commission of the Constituent Assembly, despite meager financial resources, attempted to attract qualified staff to serve in the commissions and offer sufficient training in order to ensure the electoral process was administered at a high level. The Central Election Commission adopted a resolution on 27 November, 1918, that dealt with the training of municipal, district and precinct commission members in Kutaisi and Tbilisi. Afterwards, the commission sent members to Kutaisi.





საქართველოს პარლამენტის დამფუძნებელი კრების ცენტრალური საარჩევნო კომისიის პრეზიდიუმის 1918 წლის 27 ნოემბრის სხდომის ოქმი. დოკუმენტი დაცულია საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში, ფონდი 1834, აღწერა 2, საქმე N19.

Meeting minutes of Presidium of the Central Parliamentary Election Commission of the Constituent Assembly on 27 November, 1918. The document is preserved at the Central Historical Archive, the Foundation 1834, Description 2, Case N19.



საქართველოს
ცენტრალური
საარჩევნო კომისია
25.იანვარი

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს
პარლამენტის დამფუძნებელი კრების
ცენტრალური საარჩევნო კომისიის წერილი
საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას.

საქართველოს პარლამენტის დამფუძნებელი კრების ცენტრალური საარჩევნო კომისია გაცნობებთ:

1) ამომწურავია თქვენი სიიდან, გიორგი მგელაძის პარტიის სიაში ყოფნა და ის არა გაქვთ. იგი ამომწურავი

2) სხვა შემდეგი კანდიდატებისა , იოსებიანი, ძიძიშვილი, ა, მეუნარგია, ყიფიანი, ჯაიანი, მჭედლიძე, ჭყონია, ჯაჭარიძე, ამბა-

კანდი-
ატიშვილი,
ყენი, ყაზბეგი
სიიდან ამოიშლებიან
მისი თანხმობის ქვეშ
ეროვნულის იმავე მიზეზით
ისი პირადი განცხადებისა.
სია დამატებულია № 2-ად.

საქართველოს პარლამენტის დამფუძნებელი კრების ცენტრალური საარჩევნო კომისიის წერილი საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას. დოკუმენტი დაცულია საქართველოს ცენტრალურ სახისტორიო არქივში, ფონდი 1834, აღწერა 1, საქმე N118

Letter of the Central Elecvon Commission of Constituent Assembly of Parliament of Georgia to National Democratic Party. The document is preserved at the Central Historical Archive, the Foundation 1834, Description 1, Case N118.

საარჩევნო სუბიექტები

1919 წლის იანვრის განმავლობაში მიმდინარეობდა ამომრჩეველთა სიების დაზუსტება. ამ მიზნით საარჩევნო კომისია აქტიურ მიმოწერას ახორციელებდა ერობებთან და შინაგან საქმეთა სამინისტროსთან. 22 იანვრიდან 26 იანვრამდე საარჩევნო კომისიამ განიხილა არჩევნებში მონაწილე პოლიტიკურ პარტიათა საკანდიდატო სიები და დაამტკიცა 15 საარჩევნო სუბიექტი. სხვადასხვა სიაში აღმოჩნდა კანონთან შეუსაბამო ფაქტები, ხშირ შემთხვევაში ხარვეზები დაკავშირებული იყო საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირთა შეყვანის საკითხთან. სიების კორექტირებასთან დაკავშირებით საინტერესოა, რომ ცნობილი პუბლიცისტი და აქტივისტი მიხაკო წერეთელი შეყვანილი იყო ეროვნულ-დემოკრატებისა და სოციალისტ-ფედერალისტების საკანდიდატო სიაში მაშინ, როდესაც არცერთ პარტიას არ ჰქონდა წარმოდგენილი ავთენტური ხელმოწერით დამოწმებული კანდიდატის თანხმობის წერილი.

ELECTION SUBJECTS

In January, 1919, the Election Commission performed a verification of the voters' lists. For this purpose, the Election Commission corresponded actively with local bodies and the Ministry of Internal Affairs (MIA). From 22 – 26 January the Election Commission reviewed candidate lists of political parties participating in the elections and approved 15 election subjects. Inconsistencies not in line with the electoral legislation were found in some lists; in many cases, several of these issues were related to stateless persons of Georgia who had been entered into the list. Concerning the list deficiencies, it should be mentioned, that an eminent journalist and activist Mikhako Tsereteli was entered onto the National Democrats as well as Socialist-Federalists candidate list, though neither party had submitted a letter of consent containing the authentic signature of the candidate.

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ, არჩევნებში მონაწილე პოლიტიკურ სუბიექტთა დაზუსტებული და დამტკიცებული საკანდიდატო სიები გადაუგზავნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოს – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას“.

The Central Election Commission sent verified and approved candidate lists of participant political subjects to the official publication of the government of the Democratic Republic of Georgia, the newspaper "Sakartvelos Respublika" (Republic of Georgia).

დამფუძნებელი კრების არჩევნებზე სუბიექტები შემდეგი ნომრებით გავიდნენ:

N1 საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

N2 საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია

N3 საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია

N4 სომეხთა რევოლუციონური პარტია „დაშნაკცუთუნი“

N5 საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია

N6 საქართველოს მუსულმანთა ეროვნული საბჭო

N7 საქართველოს რადიკალ-დემოკრატიულ გლეხთა პარტია

N8 საქართველოს ეროვნული პარტია

N9 საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა მემარცხენეთა პარტია

N10 ბოთა რუსთაველის ჯგუფი

N11 დამოუკიდებელთა (უპარტიოთა) კავშირი

N12 ბორჩალოს მაზრის მუსულმანები

N13 რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია (რსდმპ)

N14 „ესთეტიური ლიგა პატრიოტებისა“

N15 ელინთა დემოკრატიული პარტია

ELECTION SUBJECTS USED THE FOLLOWING NUMBERS DURING CONSTITUENT ASSEMBLY ELECTION:

N1 Social Democratic Labour Party of Georgia

N2 National-Democratic Party of Georgia

N3 Socialist-Revolutionary Party of Georgia

N4 Armenian Party in Georgia – "Dashnaktsiutun"

N5 Georgian Socialist-Federalist Revolutionary Party

N6 National Council of Muslims of Georgia

N7 Radical-Democratic Labour Party of Georgia

N8 The National Party of Georgia

N9 Left Socialist-Federalist Party of Georgia

N10 Party of Rustaveli Group

N11 Union of (Non-Party) Independents

N12 Group of Muslims from Borchalo District

N13 Russian Social-Democratic Labour Party (RSDL)

N14 "Aesthetic League of Patriots"

N15 Democratic Group of Georgian Hellenes

იანვარი 9₉ [illegible]

137.

გიგზავნით ცენტრალურ საარჩევნო კომისიის მიერ დამტკიცებულ 15 ს კანდიდატთა სიას დაბეჭდვისთვის და გთხოვთ გამოქვეყნდეს ნომერში. სიებს ქვეშ ეწერება:

მშვიდობიანი კრების ცენტრალური საარჩევნო კომისია.

საქართველოს დამფუძნებელი კრების ცენტრალური საარჩევნო საპარლამენტო კომისიის წერილი გაზ. „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქციას. 30 იანვარი, 1919 წელი. დოკუმენტი დაცულია საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში, ფონდი 1834, აღწერა 1, საქმე N118.

Letter of the Central Parliamentary Election Commission of the Constituent Assembly to newspaper "Republic of Georgia" editorial office, 30 January, 1919. The document is preserved at the Central Historical Archive, the Foundation, 1834, Description 1, Case N118.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის ფონდების ელექტრონული კატალოგი

საქანდიდატო სია

№ 1

საქანდიდატო სია

№ 2.

ს:ანდიდატო სია.


№ 3.

საქანდიდატო სია

№ 4.

საქანდიდატო სია

№ 5.



საარჩევნო სუბიექტებს სიებში სხვადასხვა რაოდენობის კანდიდატები ჰყავდათ წარმოდგენილი. მათ შორის ყველაზე მეტი – 130 კანდიდატი წარმოდგენილი ჰყავდა საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას, ხოლო ყველაზე მცირე, ერთი კანდიდატით არჩევნებზე წარდგენილი იყო შოთა რუსთაველის ჯგუფი-პარტია. საარჩევნო კომისიის მიერ დამტკიცებულ 15 საკანდიდატო სიაში, საერთო ჯამში წარმოდგენილი იყო 600 კანდიდატი, მათგან 26 ქალი კანდიდატი. ქალი კანდიდატები სიაში ჰყავდათ შემდეგ პოლიტიკურ სუბიექტებს: N1 საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 6 კანდიდატი; N3 – საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 5 კანდიდატი; N4 სომეხთა რევოლუციონური პარტია „დაშნაკციუთუნი" – 2 კანდიდატი; N5 საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 9 კანდიდატი; N7 საქართველოს რადიკალ-დემოკრატიულ გლეხთა პარტია – 1 კანდიდატი; N9 საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა მაშვრალთა პარტია – 3 კანდიდატი.

A different number of candidates were presented in the lists of election subjects. Among them, the Social Democratic Labour Party of Georgia presented the highest number, 130 candidates, whereas the Shota Rustaveli-party group nominated the fewest with a single candidate. Overall 600 candidates were presented on 15 different candidate lists, which were approved by the Election Commission. Of those, there were 26 women nominated as candidates. Women were presented on the lists of the following political subjects: N1 Social Democratic Labour Party of Georgia, 6 candidates; N3 The Socialist-Revolutionary Party, 5 candidates; N4 Armenian Party in Georgia "Dashnaktsyutun", 2 candidates; N5 Georgian Socialist-Federalist Revolutionary Party, 9 candidates; N7 Radical-Democratic Party of Georgia, 1 candidate; N9 Left Socialist-Federalist Party, 3 candidates.

საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნების საკანდიდატო სიები. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა" N25-ის დამატება, 1 თებერვალი, 1919 წელი. გამეთი დაცულია თსუ-ს ბიბლიოთეკაში.

Candidate List of the Constituent Assembly Elections. Newspaper "Sakartvelos Respublika" (The Republic of Georgia) N25-'s addition, 1 February, 1919. The newspaper is preserved at Tbilisi State University Library.

ქართველოს პარლამენტი.

[illegible]

[illegible]

13 [illegible] 191[illegible]წ.

№ 259

